

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს ბენზინმზიდებით ნავთობპროდუქტების გადაზიდვაზე

ტენდერის პირობები

თავი I. ზოგადი მიმოხილვა

1. გადასაზიდი ტვირთი - ნავთობპროდუქტები;
2. გადაზიდვის მიმართულებები - საერთო მონაცემებში მითითებული მიმართულებებით;
3. ტრანსპორტირების მიმართულების შეთანხმება ხდება ყოველდღიურად დილის 10:00 საათამდე;
4. გადაზიდვის სავარაუდო წლიური მოცულობა - 73 500 000 ლიტრი;
5. მომსახურების ვადა - 24 თვე;

თავი II. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. კომპანიის (პრეტენდენტის) რეკვიზიტები:

- აუცილებელი პირობა - პრეტენდენტი უნდა იყოს რეზიდენტი კომპანია.
- კომპანიის სრული დასახელება
- იურიდიული მისამართი
- ფაქტობრივი მისამართი
- ტელ, ფაქსი, ელ-ფოსტა
- საკონტაქტო პირი
- საბანკო რეკვიზიტები
- მონაცემები კომპანიის ხელმძღვანელი პირების შესახებ

2. ტენდერში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

- ამონაწერი კომერციული(სამეწარმეო) რეესტრიდან პრეტენდენტის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან გადახდისუუნარობის საქმის მიმდინარეობის შესახებ;
- შესაბამისი ორგანოების ცნობა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის არარსებობის თაობაზე;
- ცნობა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ ;
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ .
- პრეტენდენტის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი
- ბენზინმზიდების საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ბენზინმზიდების ავზების დაკალიბრების ცხრილი;

3. კომერციული წინადადება

- პრეტენდენტის კომერციული წინადადება უნდა შეიცავდეს ერთ ლიტრ საწვავზე გადაზიდვის საშუალო შეწონილ ფასს საერთო მონაცემებში მითითებული მიმართულებებისა და პროპორციის გათვალისწინებით დღგ-ს ჩათვლით.
- პრეტენდენტის კომერციული წინადადება უნდა შეიცავდეს მკაფიო ფორმულირებას გადაზიდვის ტარიფის შესაძლო ცვლილების (მატების, კლების) თაობაზე (საწვავის ფასის, საგადასახადო კანონმდებლობის ან სხვა გარემოების მითითებითა და პროპორციების განსაზღვრით).

სატენდერო პროცედურები

1. ტენდერი ჩატარდება ორ ეტაპად, ღია ვაჭრობით.

- 1.1 ტენდერის ჩატარების თარიღი - **2020 წლის 30 ივლისის 15:00 სთ.**
 - 1.2 ტენდერის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო. გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ოფისი.
 - 1.3 ტენდერში მონაწილეებმა სამუშაო დღეებში 11:00-დან 13:00-სთ-მდე **2020 წლის 28 ივლისამდე** დალუქულ კონვერტებში უნდა წარმოადგინონ: რეკვიზიტები, პრეტენდენტის ინსტრუქცია, საკვალიფიკაციო და ტექნიკური დოკუმენტაცია. პრეტენდენტის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს „პრეტენდენტის ინსტრუქციის“ 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტებზე მითითებული უნდა იყოს პრეტენდენტის დასახელება და მასში არსებული მასალის აღნიშვნა.
 - 1.4 მონაწილეების მიერ კონვერტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ ოფისი.
 - 1.5 ტენდერში მონაწილეობას ღებულობს პრეტენდენტი ორგანიზაციიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.
 - 1.6 კომერციული წინადადებების კონვერტები გაიხსნება ტენდერზე რის შემდეგაც პრეტენდენტებს შორის გაიმართება ვაჭრობა.
2. გამარჯვებულ პრეტენდენტს ეცნობება ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

განსაკუთრებული პირობები

1. ხელშეკრულება დაიდება იმ პრეტენდენტთან რომელიც სრულად დააკმაყოფილებს კომისიის მოთხოვნას.
2. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები იქნება არასწორი ან არასრულყოფილი იგი იქნება დისკვალიფიცირებული.
3. წინადადებების განხილვისას, საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. პრეტენდენტის მიერ მითითებულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება დისკვალიფიცირებულად.
4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების მომზადების პროცესში გაწეული ხარჯები კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ხელშეკრულება.
5. კომპანია არ არის ვალდებული პრეტენდენტებს განუმარტოს თავისი გადაწყვეტილების საფუძველი ტენდერის ჩაშლასთან ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით.
6. კომპანია არ იღებს ვალდებულებას აუცილებლად დადოს ხელშეკრულება კონკურსში მონაწილე რომელიმე პრეტენდენტთან.

საკონტაქტო პირი:

ევგენი ლიმაწოვი (რუსულ/ინგლისურ ენოვანი)

მობ : 595-333-223